

2011 წლის 7 ნოემბერი

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის”

აღმასრულებელი საბჭოს სხდომის

ოქმი

7 ნოემბერი, 2011

ს.ს.ი.პ “საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის” მისამართი:

ქ.თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ 36.

სხდომის დაწყების დრო 20:00

სხდომაზე დამსწრე აღმასრულებელი საბჭოს წევრები: ზაზა ხატიაშვილი (თავმჯდომარე), იმედა დვალიძე, ნოდარ ფეიქრიშვილი, ბესარიონ აბაშიძე, იოსებ ბარათაშვილი, ზვიად კორძაძე, მალხაზ ჯანგირაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში გაწევრიანება;
2. ასოციაციაში ხელახალი გაწევრიანება;
3. ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების (2011 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს კანონის « ადვოკატთა შესახებ » 21³ მუხლის, 1 პუნქტის, “ზ”-ქვეპუნქტის შესაბამისად, ადვოკატებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე) ნაწილობრივ ბათილად ცნობა მზია ადგიშვილის და დემური აღხაზიშვილის მიმართ;
4. განცხადებების განხილვა ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის დაგვიანებით რეგისტრაციის შესახებ;
5. მოხსენება საქართველოს სისხლის სამართლის ახალი კოდექსის მოსამზადებელი ჯგუფის ვიზიტის შესახებ ნიდერლანდების სამეფოში (მომხსენებელი იოსებ ბარათაშვილი);
6. ადვოკატ გიორგი მარიამიძის განცხადება თამილა ქუთათელაძის დამცველი ადვოკატებისთვის 1000 ლარის გამოყოფის შესახებ;
7. თავმჯდომარის წინადადება: განგრძობადი იურიდიული განათლების პროგრამით გათვალისწინებული ტრენინგების ჩატარების სრულყოფისათვის, ადვოკატთა ასოციაციის შენობის სარემონტო სამუშაოებისათვის 25 000 ლარის გამოყოფის თაობაზე.

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. საქართველოს კანონის “ადვოკატთა შესახებ” მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ყველა გასაწევრიანებელ პირთა განცხადება თანდართული საბუთებით; ასევე დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე

წარდგენილი იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილ პირთა განცხადებები ხელახალი გაწვევრიანებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის, 1 პუნქტის მოთხოვნას გაწვევრიანებაზე;

ა). საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი ღია კიკაძე-ოტოს განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების შესახებ და ამავე კანონის, 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, **ღია კიკაძე-ოტოს** გაწვევრიანებისთანავე შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა.

ბ). საქართველოს კანონის „ადვოკატთა შესახებ“ მე-10 მუხლის შესაბამისად, დაკმაყოფილებულ იქნას სხდომაზე წარმოდგენილი თინა ქარსელაძის განცხადება ასოციაციაში გაწვევრიანების შესახებ და ამავე კანონის, 21³ მუხლის, მე-2 პუნქტის, „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, **თინა ქარსელაძეს** გაწვევრიანებისთანავე შეუჩერდეს ასოციაციის წევრობა

გ). იმ უფლებამოსილებაშეწყვეტილი ადვოკატების განცხადებების განხილვა ხელახალი გაწვევრიანების შესახებ, რომელთაც არ აქვთ ნასამართლეობის ცნობა წარმოდგენილი, გადაიღოს მათ მიერ ნასამართლეობის ცნობის წარმოდგენამდე.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 62-ე მუხლის, 1-ლი ნაწილის თანხმად, აღმასრულებელი საბჭოს 2011 წლის 21 ოქტომბრის გადაწყვეტილება (2011 წლის 1 ნოემბრიდან საქართველოს კანონის « ადვოკატთა შესახებ » 21³ მუხლის, 1 პუნქტის, “ზ”-ქვეპუნქტის შესაბამისად ადვოკატებისათვის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 60¹- მუხლის, 1-ლი ნაწილის თანახმად, გამოცხადდეს ნაწილობრივ ბათილად ზემოთხამოთვლილ კანდიდატებთან მიმართებაში.
3. განცხადებები ადვოკატთა საშემოდგომო საკვალიფიკაციო გამოცდებისთვის დაგვიანებით რეგისტრაციის შესახებ დაკმაყოფილდეს და აღნიშნულ პირებს მიეწოდოს ინფორმაცია გადაწყვეტილების შესახებ.
4. ადვოკატ გიორგი მარიამიძის განცხადება თამილა ქუთათელაძის დამცველი ადვოკატებისთვის 1000 ლარის გამოყოფის შესახებ არ დაკმაყოფილდეს. გიორგი მარიამიძეს წერილობით ეცნობოს აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ.
5. დაკმაყოფილდეს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარის წინადადება და ასოციაციის ბიუჯეტიდან გამოყოფილი იქნას დამატებით 25 000 (ოცდახუთი ათასი) ლარი ასოციაციის საკუთრებაში არსებული შენობის (ძმები ზუბალაშვილების ქუჩა № 34-36) სარემონტო სამუშაოებისათვის. აღნიშნულის გათვალისწინებით შევიდეს ცვლილება ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში.

ზაზა ხატიაშვილი

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე